არაფორმალობა და სახელმწიფო ინსტიტუტები: საქართველოსა და მოლდოვას შედარებითი ანალიზი ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე

ანი ებიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

მიმართულება საერთაშორისო ურთიერთობები

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მირებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ებიტაშვილი

18.01.2024

აბსტრაქტი

ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირში ინტეგრაციისკენ სწრაფვა გახდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავარი საზრუნავი. მათ შორის, საქართველოსა და მოლდოვასთვის, რომელთაც მიიღეს კანდიდატი წევრის სტატუსი და ცდილობენ უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებას ევროკავშირთან. ევროკავშირის განცხადებების მიხედვით, ცალსახაა, რომ ინტეგრაციის პროცესში არაფორმალურობის როლი სახელმწიფო ინსტიტუტებში ჩნდება, როგორც კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ფაქტორი. წარმოდგენილი კვლევის მიზანია გააანალიზოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დამოუკიდებელ ცვლადებს (სისტემურ დონეზე), ინტერვენციულ ცვლადებს (შიდა და ინდივიდუალურ დონეზე) და დამოკიდებულ ცვლადს (გარე პოლიტიკური არჩევანი - ევროინტეგრაცია) შორის. კვლევა ცდილობს, გააცნობიეროს კონკრეტული მექანიზმის - არაფორმალობის - როლი, რამაც შესაძლო გავლენა იქონია ინტეგრაციის კონკრეტულ შედეგებზე. კვლევის შერეული მეთოდის მიხედვით, საქართველოსა და მოლდოვას შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესებს აფერხებს მმართველ რგოლში არსებული არაფორმალური პრაქტიკები, მაშინ როცა ინსტიტუციურ/ბიუროკრატიულ დონეზე სახელმწიფო შეიძლება თავისუფალი იყოს არაფორმალობისგან.

Abstract:

In recent years, the pursuit of EU integration has become a major concern of Eastern European countries. Among them, for Georgia and Moldova, which have the status of candidate member and are trying to establish closer ties with the European Union. However, according to the statements of the European Union, it is clear that the role of informality in state institutions appears as a critical factor in the integration process. The purpose of the study here is to analyze the causal relationships between the independent variables (at the system level), the intervening variables (at the domestic and individual levels) and the dependent variable (external policy choices). By examining the cause-and-effect relationships between these variables, the study tries to understand the role of a particular mechanism—informality—that led to a particular outcome of integration. Based on the Mixed-Method Research, a comparative analysis of Georgia and Moldova shows that the integration processes are hindered by the informal practices in the governing ring, even if the state is free from informality at the institutional/bureaucratic level.